განახლებულია: 30.09.2024

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**საერთაშორისო ურთიერთობები/International Relations**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	**საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი/Bachelor of International Relations**
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	ირაკლი გორგილაძე, პროფესორი, ელ.ფოსტა: irakli.gorgiladze@bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTS-მოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1)	240 ECTS
სწავლების ენა	ქართული ენა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	✓ ერთიანი ეროვნული გამოცდები; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა; ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	✓ მისცეს ფართო ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების როგორც პოლიტიკის მეცნიერებების ქვედარგის ტერმინოლოგიის, ცნებების, ძირითადი თეორიების, კონცეფციების, სკოლების, საერთაშორისო პოლიტიკური, ეკონომიკური და უსაფრთხოების სისტემების და მოდელების, მსოფლიო პოლიტიკის, სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის, საერთაშორისო სისტემის, საერთშორისო წესრიგის და აქტორების, გეოპოლიტიკის, კონფლიტოლოგიის, სოციოლოგიის, პოლიტიკური კომუნიკაციის, საერთაშორისო სამართლის, დიპლომატიის და სოციალური ურთიერთობების კომპლექსური საკითხების შესახებ; ✓ შეასწავლოს საერთაშორისო ურთიერთობების ინტერდისციპლინარული მახასიათებელების - ისტორიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, კონფლიქტების, უსაფრთხოების და საერთაშორისო სამართლის ძირითადი საკითხები ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ კონტექსტში; ✓ უზრუნველყოს პროფესიულ საქმიანობში საერთაშორისო ურთიერთობების თეორიასა და პოლიტიკაში არსებული ძირითადი პარადიგმების, მათი ურთიერთსაწინაღმდეგო თვალსაზრისების, მსოფლიო პოლიტიკის, გეოპოლიტიკის, საერთაშორისო და ეროვნული უსაფრთხოების, საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის, საერთაშორისო კონფლიქტების, საერთაშორისო მიგრაციის, საგარეო პოლიტიკის, პოლიტიკის ანალიზის, პროგნოზირების, გადაწყვეტილების მიღების პროცესის, საერთაშორისო სამართლის, საბაზისი კვლევის კომპლექსური საკითხების გააზრება და შესწავლა, რაც საშულებას მისცემს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში დამოუკიდებელი ორიენტაციის, საკითხის დასმის, მოსაზრებების ორიგინალური განვითარებისა და პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობას; ✓ შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე დაეხმაროს დამოუკიდებელად ორიენტაციის, პრობლემის დასმის და გადაჭრის გზების დასახვის, მოსაზრებების ორიგინალური განვითარებისა და პრაქტიკული გამოყენებისთვის

	ორგანიზაციული, საინფორმაციო-ანალიტიკურ, საჯარო პოლიტიკური კომუნიკაციის მიმართულებით საჭირო კომპეტენციების გაღრმავება-განმტკიცებაში, ხოლო დამსაქმებლების ინტერესებიდან გამომდინარე ხელი შეუწყოს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, აბსტრაქტული და კრიტიკული აზროვნების, დასაბუთებული დასკვნის, არგუმენტირებული მსჯელობის, ლოგიკური ანალიზის, სინთეზის, სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლების, მშობლიურ და უცხოურ ენებზე (ინგლისური და ერთ-ერთი სხვა ენა არჩევით) კომუნიკაციის უნარების განვითარებას; ლიდერობის, პასუხისმგებლობის და გუნდური მუშაობის გაღრმავება-განმტკიცებში; ✓ უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე აღზარდოს თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი სპეციალისტი, რომელიც იქნება მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, საერთაშორისოდ აღიარებული ღირებულებების მატარებელი თავისუფალი, პასუხისმგებლობით განმსჭვალული პიროვნება, რაც შესაბამისად, ორიენტირებული იქნება სამოქალაქო ცნობიერების, სოციალური ერთიანობის, პროფესიული ეთიკის, კულტურული და მსოფლმხედველობრივი მრავალფეროვნების გააზრება - პატივისცემაზე; ✓ მისცეს სფეროს ცოდნის, უნარების და ავტონომიურობის ის საბაზისო დონე, რომელიც დაეხმარება სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში ან/და დასაქმდეს შრომის ბაზარზე საჯარო და კერძო სექტორში; ✓ მთლიანობაში კი, პროგრამის მიზანი აკადემიური აქტიურობით და პროფესიული კომპეტენციების მქონე ბაკალავრის მომზადებაა, რომელსაც ექნება შემდგომი უწყვეტი განათლების და პროფესიული განვითარების მოთხოვნილებისა და უზრუნველყოფის საფუძველი.
სწავლის შედეგები	✓ ჩამოთვლის და იხსენებს საერთაშორისო ურთიერთობების, საერთაშორისო პოლიტიკის, საერთაშორისო სისტემის, საერთშორისო და ეროვნული უსაფრთხოების, საერთშორისო წესრიგის, გეოპოლიტიკის, სახლმწიფოს საგარეო პოლიტიკის, საერთაშორისო ეკონომიკის, საერთაშორისო სამართლის და მათთან დაკაშირებულ ტერმინოლოგიას, ცნებებს, დეფინიციებს, კონცეფციებს, თეორიებს, დოქტრინებს და აცნობიერებს პოლიტიკის, უსაფრთხოების, ეკონომიკის, კონფლიქტების, დიპლომატიის, პროტოკოლის, კომუნიკაციის და სოციალური ურთიერთობების ძირითად საკითხებს; ✓ გათავისებული აქვს პოლიტიკური პროცესების შეფასების სირთულე, პროფესიული საქმიანობის მნიშვნელობა და პასუხისმგებლობა, ეთიკური ნორმების დაცვის, დემოკრატიული საზოგადოების ფორმირებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობის აუცილებლობა; ✓ აანალიზებს საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიული და მიმდინარე პორცესების განვითარების ეტაპებს საკუთარი დასაბუთებული აზრის და პოზიციის ფორმირებისთვის და ახდენს სოციალურ-პოლიტიკური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ცოდნის ანალიზსს მსოფლმხედველობითი პოზიციის ფორმირებისთვის; ✓ არჩევს და იყენებს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად აპრობირებულ საბაზისო კვლევის მეთოდებს საერთაშორისო არენაზე სახელმწიფოების მიერ განხორციელებული ქმედებების, მიმდინარე პოლიტიკური პროცესების, სახელმწიფოების საგარეო-პოლიტიკური და დიპლომატიური საქმიანობის რაოდენობრივი და თვისობრივი მიმართულებით შესწავლის, ანალიზის, არგუმენტირებული, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბებისათვის, რისთვისაც ამოიცნობს და ახდენს იმ პრობლემების იდენტიფიცირებას/ფორმულირებას, რაც დაკაშირებულია საერთაშორისო პოლიტიკური და სახელმწიფოს საგარეო

	პოლიტიკური პროცესის განხორციელებასთან; ✓ ახდენს საერთაშორისო პროცესებისა და პოლიტიკის ინტერპრეტირებას ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ კონტექსტში და საერთაშორისო მოვლენების კავშირს ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ პროცესებთან; საერთაშორისო მოვლენების, პროცესებისა და პოლიტიკის გააზრებას და ადეკვატურად შეფასებას; საერთაშორისო პოლიტიკის განვითარებაზე გავლენის მომხდენი საშინაო და საგარეო ფაქტორების ანალიზს და შეფასებას, რისთვისაც ეძებს, ანაალიზებს და იყენებს შესაბამის ინფორმაციას და დოკუმენტებს პროფესიულ საქმიანობაში გარკვეული საჭიროებების იდენტიფიცირების, განხორციელების და გადაჭრის გზების დასახვისთვის, რისთვისაც თავისუფლად ორიენტირებს მოპოვებულ ინფორმაციაში; ✓ იყენებს ძირითად ცოდნას მოლაპარაკების, საჯარო-პოლიტიკური კომუნიკაციის, დიპლომატიური პროტოკოლის, ეტიკეტის, ლიდერობის და ჯგუფური მუშაობის ორგანიზებასთვის და პროფესიული საქმიანობის სხვადასხვა მიმ-ართულებით დასახული მიზნების და ამოცანების განხორციელებისათვის. ამაზადებს პროფესიულ საქმიანობიდან გამომდინარე შესაბმის ანგარიშგებებს/მოხსენებებს და აყალიბებს მოსაზრებებს, ახდენს გარკვეული საჭიროებების იდენტიფიკაციას, წინადადებების ფორმულირებას, ხსნის, განმარტავს, აწარმოებს კამათს, პრეზენტირებს ქართულ და ინგლისურ (და ერთ-ერთ არჩევით) ენებზე (განსაზღვრულ დონეზე) პროფესიული საქმიანობის განხორციელების, პიროვენებათშორის და კულტურათშორის ურთიერთობის ამოცანების გადაწყვეტისთვის, ავლენს თანამშრომლებთან და მოქალქეებთან ეფექტური კომუნიკაციის მზაობას; აწაროებს მოლაპრაკებებს და ახაორციელებს საქმიან მიმოწერას პრაქტიკაში; ✓ პატივს სცემს დემოკრატიის საყოველათაოდ აღიარებული და დადგენილი ნორმების დაცვის საჭიროებას; ცნობს ქცევისადმი წაყენებულ პროფესიულ ეთიკურ სტანდარტებს და მოქმედებს ტოლერანტული მიდგომებით. იღებს და იზიარებს პასუხისმგებლობას პროფესიული უფლება-მოვალეობების სათანადოდ შესრულებისათვის და საკუთარი/სხვების შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენასა და განხორციელებაზე, რისთვისაც აკავშირებს და იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკშირებულ მეთოდურ, საცნობარო და გზამკვლევ, მათ შორის საგანამანთლებლო მასალებში მოცემულ მითითითებებს და ინფორმაციას, რის საფუზველზეც ახდენს თვითორგანიზებას და განათლების მიღების უზრუნველყოფას/ხელსეწყობას.